



წლიური ანგარიში 2023



მარიამ სულაბერიძე	3
2023 წელს დასრულებული პროექტები	5
მიმდინარე პროექტები	6
ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციები	5
Log In Georgia-ს II კომპონენტი	15
გარემოსდაცვითი საკითხები	17
2024 წლის გეგმები	19



მარიამ სულაბერიძე
ოუფენ ნეტის დირექტორი

ქსელის მასშტაბის ზრდასთან ერთად, იზრდება კერძო ტელეკომ-ოპერატორების ჩართულობა. ამ ეტაპზე, ოპერატორებზე გაცემულია სხვადასხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურება 100-ზე მეტი მიმართულებით.

ტრადიციულად, შევაჯამებთ გასულ წელს, რომელიც დასრულებული, მიმდინარე და ახალი პროექტებით, სამიზნე ჯგუფებთან საინფორმაციო შეხვედრებით, საერთაშორისო და ადგილობრივი კონფერენციებით საკმაოდ დატვირთული და ნაყოფიერი იყო.

2023 წელს, მაგისტრალის მშენებლობა დასრულდა ტყიბული-ამბროლაური-ონის, ჩოხატაური-სამტრედიისა და ქობულეთი-ხელვაჩაურის მიმართულებებზე. აღნიშნული ლოტები ერთობლივად მოიცავს 58,000 მოსახლისთვის შექმნილ ახალ შესაძლებლობებს და 425 კმ ინფრასტრუქტურას.

დასრულებული და მიმდინარე ტენდერების მოცულობამ 2023 წლის ბოლოს, ჯამურად შედგინა 2,000 კმ-ზე მეტი, რომელიც გურიის, სამეგრელოს, აჭარის, რაჭის, ლეჩხუმის, ქვემო სვანეთისა და იმერეთის სოფლებს მოიცავს.

მნიშვნელოვანია, რომ ქსელის მასშტაბის ზრდასთან ერთად, იზრდება ოპერატორების დაინტერესება და ჩართულობა. თუ ოზურგეთის საპილოტე პროექტის შემდეგ, „ოუფენ ნეტის“ მიერ აშენებულ ქსელში მხოლოდ 2 ოპერატორი იყო ჩართული, დღევანდელი მდგომარეობით, სხვადასხვა რეგიონში, 7 ოპერატორზე გაცემულია სხვადასხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურება 100-ზე მეტი მიმართულებით.

2024 წლიდან პროექტები გაგრძელდება აღმოსავლეთ საქართველოში და ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ქვეყნის მასშტაბით, 2025 წლის ბოლოსთვის დასრულდება. ქსელის მშენებლობის დასრულების შემდეგ, „ოუფენ ნეტი“ გააგრძელებს საპილოტე და Log-In Georgia-ს პროექტების ფარგლებში აშენებული ინფრასტრუქტურის მართვას, სადაც ნებისმიერ ინტერნეტპროვაიდერს აქვს თავისუფალი, შეუზღუდავი და არადისკრიმინაციული პირობებით ღია დაშვების მომსახურების მიღების საშუალება.

2023 წელს დასრულებული მიმართულებები

ტყიბული-ამბროლაური-ონი

- აშენებული ინფრასტრუქტურა - 150 კმ
- დასახლებული პუნქტი - 20
- მოსახლეობა - 11,000

ჩოხატაური-სამტრედია

- აშენებული ინფრასტრუქტურა - 140 კმ
- დასახლებული პუნქტი - 20
- მოსახლეობა - 9,000

ქობულეთი-ხელვაჩაური

- აშენებული ინფრასტრუქტურა - 135 კმ
- დასახლებული პუნქტი - 37
- მოსახლეობა - 38,300

მიმდინარე პროექტები



• ზუგდიდი-ხობი

მიმართულება მოიცავს ჩხორონწყუს, ხობის, სენაკის, ნალენჯიხისა და ზუგდიდის სოფლებს.

- ასაშენებელი ინფრასტრუქტურა - 270 კმ
- დასახლებული პუნქტი - 48
- მოსახლეობა - 26,500

• აბაშა-სენაკი

მიმართულება მოიცავს ხონის, აბაშის, ჩხორონწყუს, მარტვილისა და სენაკის სოფლებს.

- ასაშენებელი ინფრასტრუქტურა - 240 კმ
- დასახლებული პუნქტი - 48
- მოსახლეობა - 16,100

• წყალტუბო-ვარციხე-ხონი

მიმართულება მოიცავს: ბაღდათის, თერჯოლის, ზესტაფონის, ტყიბულის, წყალტუბოსა და ვანის სოფლებს.

- ასაშენებელი ინფრასტრუქტურა - 240კმ
- დასახლებული პუნქტი - 38
- მოსახლეობა - 15,000

• ჭიათურა-საჩხერე

მიმართულება მოიცავს: ჭიათურის, საჩხერის, თერჯოლისა და ტყიბულის სოფლებს.

- ასაშენებელი ინფრასტრუქტურა - 290 კმ
- დასახლებული პუნქტი - 67
- მოსახლეობის რაოდენობა - 38,000

• ზესტაფონი-ხარაგაული

მიმართულება მოიცავს: ხარაგაულის, ხაშურის, საჩხერის, თერჯოლისა და ზესტაფონის სოფლებს.

- ასაშენებელი ინფრასტრუქტურა - 260 კმ
- დასახლებული პუნქტი - 33
- მოსახლეობის რაოდენობა - 15, 200

დასრულებული და მიმდინარე სამშენებლო არეალები და ქსელის ტექნიკური მონაცემები ხელმისაწვდომია ოუფენ ნეტის ციფრულ რუკაზე - <https://maps.opennet.ge>



ადგილობრივი & საერთაშორისო კონფერენციები 2023

FTTH 2023 - მადრიდი



მსოფლიოს ერთ-ერთ მასშტაბურ FTTH ინდუსტრიის სამიტს 2023 წელს მადრიდში უმასპინძლავდა სამდლიანმა კონფერენციამ ინდუსტრიის 100-ზე მეტი ლიდერი და ათასობით დელეგატი გააერთიანა. ტექნოლოგიების ექსპერტებმა, ინვესტორებმა და ბიზნეს ლიდერებმა დამსწრე საზოგადოებას საკუთარი გამოცდილება და ხედვა გაუზიარეს.

ოუფენ ნეტის დირექტორმა, მარიამ სულაბერიძემ კონფერენციაზე საქართველოში მიმდინარე პროექტის, „Log In Georgia“-ს შესახებ ისაუბრა. სექტორის ლიდერებთან ერთად გაზიარებული იქნა მსგავსი ტიპის პროექტებში არსებული პრობლემები, ბარიერები და მათი მოგვარების გზები.

FTTH კონფერენცია, რომელიც ევროპის საბჭოს მიერ არის ორგანიზებული, 2004 წლიდან იმართება ევროპის სხვადასხვა ქალაქში. სამდლიანი ღონისძიება მოიცავს კონფერენციებს, ვორქშოპებს, გამოფენებსა და პრაქტიკულ დემო ვერსიებს.

საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო ინსტიტუტის (IIC) 54-ე კონფერენცია



გერმანიის ქალაქ კიოლნში, საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო ინსტიტუტის (IIC) 54-ე ყოველწლიურ კონფერენციაზე, ოუფენ ნეტის ხელმძღვანელმა საქართველოში მიმდინარე საყოველთაო ინტერნეტიზაციის სახელმწიფო პროგრამის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

კონფერენციის სესიები, ტრადიციულად, სატელეკომუნიკაციო სექტორში მოქმედი დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, სატელეკომუნიკაციო ოპერატორების, მარეგულირებელი ორგანოებისა და სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლების ჩართულობით გაიმართა.

საქართველოს მე-9 ინტერნეტ-მმართველობის ფორუმი - GeolGF



მარიამ სულაბერიძე:

„ციფრული უთანასწორობის შემცირებისა და ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესში, „ოუფენ ნეტს“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი აქვს. 2020-2023 შედეგებით, ჩვენ სრულად დასულებული გვაქვს 800-კმ-ზე მეტი ოპტიკური მაგისტრალი, ხოლო, საერთო ჯამში, დასრულებული და მიმდინარე ტენდერების მოცულობა შეადგენს 2,100 კმ-ზე მეტს. აშენებული ინფრასტრუქტურის პარალელურად, ჩვენი ქსელის გამოყენება კერძო ტელეკომ -ოპერატორების მხრიდან არის მზარდი და კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ის მოდელი, რომელიც სახელმწიფომ გადაწყვიტა - არ შესულიყო კონკურენციაში კერძო ოპერატორებთან, არამედ ხელი შეეწყო მათთვის ბიზნესის განვითარებაში, იყო და არის ძალიან მძნიშვნელოვანი“.



საინფორმაციო შეხვედრები სამიზნე აუდიტორიებთან

ქსელის მშენებლობისა და მიმდინარე სტატუსის პარალელურად, რეგიონებში წარმოდგენილ ტელეკომ-ოპერატორებთან მოეწყო არაერთი შეხვედრა, სადაც ოპერატორები „ოუფენ ნეტის“ სერვისების შესახებ ეცნობოდნენ განახლებულ ინფორმაციას და ერთობლივად განიხილავდნენ არსებულ პრობლემებს.



საინფორმაციო შეხვედრები სამიზნე აუდიტორიებთან

საინფორმაციო შეხვედრები ეწყობოდა „ოუფენ ნეტის“, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგებლებებისა და ქსელის მშენებელი კომპანიების ჩართულობით.



Log In Georgia-ს II კომპონენტი

ფართოზოლოვანი ქსელის ციფრული სერვისებით სარგებლობის ხელშეწყობა

ციფრული საჭიროების შეფასების პროექტი

საკონსულტაციო კომპანია PMC-Consulting-ის მიერ წარმატებით განხორციელდა მოსახლეობის ციფრული საჭიროების შეფასების პროექტი საქართველოს 5 რეგიონში, რომელიც მოიცავდა გურიის, იმერეთის, სამეგრელო-ზემო-სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთისა და აჭარის რეგიონების მოსახლეობას. ჩატარებული კვლევისა და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, კომუნიკაციების კომისიას საშუალება მიეცა სწორად განესაზღვრა მოსახლეობაში ჩასატარებელი ტრენინგის მოდულების შინაარსი და მოცულობა.

ციფრული მხარდაჭერის პროგრამა

ციფრული მხარდაჭერის პროგრამის განხორციელება კომუნიკაციების კომისიამ 2022 წელს დაიწყო. პროგრამის მიზანს წარმოადგენს შერჩეული მუნიციპალიტეტების სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ციფრული ცნობიერების ამაღლება, მათთვის ინტერნეტის მიზნობრივად გამოყენების სწავლება და ციფრულ ეკონომიკაში ჩართულობის ხელშეწყობა.

პროგრამა მოიცავს ციფრული წიგნიერებისა და ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენების საკითხებზე სემინარებს, რომელიც ემსახურება პროგრამის ბენეფიციარების ცნობიერების ამაღლებას ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: ინფორმაციის მოძიება, ელ. ფოსტის გამოყენება, გუგლის რუქითა და თარჯიმნით სარგებლობა, ადგილმდებარეობის გაზიარება, ონლაინ საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება, ინტერნეტში უსაფრთხო ნავიგაცია, ნამდვილი და ყალბი ინფორმაციის ამოცნობა და სხვა.

გარდა თემატური სემინარებისა, პროგრამა მოიცავს საინფორმაციო შეხვედრებს სახელმწიფო ელექტრონული სერვისების შესახებ, მათ შორის, სახელმწიფო ელ. აუქციონის გამოყენების და ინტერნეტის მომხმარებელთა უფლებების თაობაზე.

2023 წელს „ციფრული მხარდაჭერის პროგრამა“ წარმატებით განხორციელდა ხელვაჩაურის, ქობულეთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, სამტრედიის, ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტების 135 სოფელსა და დასახლებულ პუნქტში. საერთო ჯამში პროგრამის ფარგლებში, ჩატარდა 53 სემინარი და გადამზადდა 3550 ადამიანი. ბენეფიციართა შორის იყვნენ სკოლის პედაგოგები, მაღალი კლასების მოსწავლეები, დიასახლისები, ადგილობრივი მენარმეები, შპმ პირები, ასევე, დროებით უმუშევარი მოქალაქეები.



2023 წელს კომუნიკაციების კომისიამ, მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული და მიზნობრივი ციფრული მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებისთვის, ინტერნეტსაჭიროებების კვლევა ჩაატარა. კვლევის მიზანი საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტის ბენეფიციარი სოფლის სამიზნე მოსახლეობისთვის ციფრული წიგნიერების საჭიროებების შესახებ მაქსიმალურად ობიექტური, მიუკერძოებელი და კომპლექსური სურათის შექმნა იყო. ასევე, კვლევით იდენტიფიცირებული საჭიროებების გადაწყვეტის რელევანტური გზების შერჩევა და ეფექტიანი პროგრამის შემუშავებისთვის რეკომენდაციების გაცემა. კვლევის ფარგლებში, შეფასდა ტრენინგ-პროგრამის დაგეგმვისთვის აუცილებელი ყველა კომპონენტი, მათ შორის ცოდნა, უნარები, გამოცდილება, ინფორმირებულობა, დამოკიდებულებები, განწყობები და მზაობა. ასევე, შეფასდა ის კონტექსტუალური, გარემო ფაქტორებიც, რომელთა გათვალისწინებაც შესაბამისი ტრენინგ-პროგრამების შემუშავებისათვის მნიშვნელოვანია.

კვლევის შედეგებმა გამოავლინა, რომ ინტერნეტს რესპონდენტების მხოლოდ 10% არ იყენებს. ხოლო ინტერნეტის მომხმარებელთა უმეტესობა, 50%-ზე მეტი, ინტერნეტისა და ციფრული ტექნოლოგიებით სარგებლობისას საკმაოდ თავდაჯერებულია და მიიჩნევს, რომ ინტერნეტსივრცეში სხვადასხვა ამოცანის შესრულება დამოუკიდებლად შეუძლია. მოსახლეობის ნაწილი, ინტერნეტით სარგებლობის მიუხედავად, ნაკლებად განაფულია და ციფრულ სივრცეში არსებულ ამოცანებს დამოუკიდებლად ვერ უმკლავდება. მცირე ნაწილი, ინტერნეტს იყენებს, თუმცა, მათი ციფრული უნარები იმდენად მწირია, რომ არა თუ არ შეუძლია ზოგიერთი საკვანძო ციფრული აქტივობის შესრულება, არამედ, ასეთი აქტივობის შესახებ ინფორმაციასაც კი არ ფლობს. აღსანიშნავია, რომ დაბალია სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილის ინფორმირებულობის დონე – უმეტეს შემთხვევაში, მათ მხოლოდ ზედაპირული წარმოდგენა აქვთ იმ შესაძლებლობებსა და სერვისებზე, რომელთა მიღება ელექტრონულად, ინტერნეტის მეშვეობით შეუძლიათ.

კომუნიკაციების კომისიამ ასევე განახორციელა საქართველოში ციფრული ინკლუზიის შეფასების კვლევა, რომელზეც საერთაშორისო კომპანიების Nextpuzzle-სა და Cobrus Consulting-ისგან შექმნილმა კონსორციუმმა Digital Europe-მ იმუშავა. ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ჩართულობითა და უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფთან გამართული საკონსულტაციო შეხვედრების საფუძველზე, შემუშავდა რეკომენდაციები საქართველოში ციფრული ინკლუზიის მხარდაჭერის მიზნით.

გარემოსდაცვითი საკითხები



„ოუფენ ნეტი“ ინფრასტრუქტურის მშენებლობას ახორციელებს ეროვნული გარემოსდაცვითი კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს გარკვეული ღონისძიებების შემუშავებას და გატარებას.

ყოველი კონკრეტული სამშენებლო ლოტის ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად მუშავდება გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა, სადაც სოციალურ და შრომის უსაფრთხოების რისკებთან ერთად, დეტალურად არის განვირეული გარემოსდაცვითი პოტენციური რისკები, მათი შერბილების ღონისძიებები და ის პროცედურები, რომელიც უნდა განახორციელოს კონტრაქტორმა კომპანიამ სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას.

დოკუმენტი თანხმდება მსოფლიო ბანკის წამომადგენლებთან, განიხილება იმ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წამომადგენლებთან/დაინტერესებულ მხარეებთან, სადაც იგეგმება სამშენებლო სამუშაოები. მომზადებული დოკუმენტაცია შედის სატენდერო პაკეტში და მშენებელ კომპანიასთან კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ, ხდება ამ კონტრაქტის ნაწილი. გასულ წელს მსგავსი ტიპის დოკუმენტაცია შემუშავდა სამშენებლო სამუშაოების ყველა ტენდერისთვის.

2023 წელს ასევე ხორციელდებოდა რეგულარული საველე გასვლები გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საკითხების მონიტორინგის მიზნით, სამტრედია-ჩოხატაურის (დასრულებულ), ქობულეთი-ხელვაჩაურისა და ზუგდიდი-ხობის სამშენებლო დერეფნებზე. საველე ვიზიტების ფარგლებში შესწავლილი იქნა სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობა, მოწმდებოდა კონტრაქტორი კომპანიების მიერ განხორციელებული გარემოსდაცვითი შემარბილებელი ღონისძიებები და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვა, ასევე ტერიტორიის აღდგენის სამუშაოები და ინერტული ნარჩენის განთავსების საბოლოო ადგილები. მონიტორინგის შედეგების გაზიარება ხდება როგორც ზედამხედველთან კომპანიასთან, ასევე მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ სპეციალისტებთან.



განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქსელის მშენებლობისას გამოსაყენებელ მასალებს. ქსელის კომპონენტები უნდა იყოს გარემო-პირობების მიმართ მდგრადი, მათში გამოყენებული მასალები არ უნდა შეიცავდეს მავნე ნივთიერებებს და უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის დირექტივებს, სახიფათო ნივთიერებების შეზღუდვის შესახებ (2011/95/EC და RoHS). ამ ყველაფრის გათვალისწინებით სამშენებლო კომპანიებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ შესაბამისი დამადასტურებელი სერტიფიკატები.



ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების განთავსება ხდება საავტომობილო გზების გასწვრივ, ზემოქმედებას ბიომრავალფეროვნებასა და ბუნებრივ ეკოსისტემებზე პრაქტიკულად ადგილი არ აქვს და მინიმალურია. დროებითი ზემოქმედება შემოიფარგლება ნიადაგის ვიწრო ზოლის მცენარეული საფარისაგან დროებითი განმედიტით, რომლის ქვეშაც ხდება ქსელის პასიური ელემენტების განთავსება.



ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები მსოფლიოში აღიარებულია ყველაზე უსაფრთხო საშუალებად და მას მოიხსენიებენ მწვანე სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიად. ასეთ ქსელს არ გააჩნია რაიმე უარყოფითი ზეგავლენა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე, როგორც მშენებლობის, ასევე შემდგომი ოპერირების პერიოდში.

2024 წლის გეგმები



ქვემო ქართლი



შიდა ქართლი



სამცხე-ჯავახეთი

ყველა იმ დასახლებულ პუნქტში, სადაც 200 და მეტი მოსახლეა და, ამავდროულად, ოპტიკური ინფრასტრუქტურით არ არის წარმოდგენილი კერძო სატელეკომუნიკაციო ოპერატორი, აშენდება ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალი და მოსახლეობას, ასევე კერძო ორგანიზაციებს მიეცემა შესაძლებლობა, მიიღონ მაღალი ხარისხის საკომუნიკაციო სერვისები, როგორებიცაა სწრაფი და ხარისხიანი ინტერნეტი, IP ტელევიზია და ა.შ.

სამიზნე გეოგრაფიული არეალებში სამშენებლო სამუშაოების შესახებ შესაბამისი შესყიდვების გამოცხადებამდე, კიდევ ერთხელ დამუშავდება და დაზუსტდება ე.წ. „თეთრი ზონები,“ რის შემდეგაც გამოქვეყნდება კონკრეტული დასახლებული პუნქტების სია, სადაც სახელმწიფოს მიერ ოპტიკური მაგისტრალი აშენდება.

ოუფენ ნეტი

ტელ: 032 2 40 01 78

ელ-ფოსტა: office@opennet.ge

www.opennet.ge